ᲑᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ორგანო საქ. ც. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
14 ივლისი
1940 წ.
№ 161 (5862)
ფასი 10 კაპ.

უზრუნველვჰყოთ ჩაის ფოთლის დროზე და წესიერი კრეფა

საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 აპრილის ისტორიულმა დადგენილებამ კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ალაფრთოვანა ახალახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ცალკეული კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი წარმატებით მუშაობენ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმების შესასრულებლად. მაგრამ უნდა ითქვას, რომ საქართველოში ჩაის ფოთლის დამზადება ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. „საჩჩაის“ ცნობით 10 ივლისისათვის საქართველოში დამზადებული იყო 22.260,5 ტონა ჩაის ფოთოლი, მაის-ივნისისა და ივლისის გეგმის 70,8 პროცენტი და წლიური გეგმის 43,6 პროცენტი.

ჩაის კრეფის ივლისის გეგმა მახარაძის რაიონს ამავე რიცხვისათვის შესრულებული ჰქონდა 25,3 პროცენტით, ლანჩხუთისას — 24,6 პროცენტით. უნდა ითქვას, რომ ივლისის გეგმის შესრულებაში ჩამორჩენილია თითქმის ჩაის ყველა რაიონი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩაის ძირითად რაიონებს —მახარაძესა და ქობულეთს მთლიანად არ შეუსრულებიათ მაის-ივნისის გეგმები, აშკარა ხდება, რომ საქმე გვაქვს სერიოზულ ჩამორჩენასთან.

ბევრგან ივიწყებენ აგრეთვე, რომ ჩაის კრეფის გეგმების შესრულება არ არსებობს ხარისხის გარეშე. განსაკუთრებით დამაფიქრებელია სრულიად შეუწყნარებელი ჩამორჩენა ფოთლის დამზადების გეგმის შესრულებაში ხარისხების მიხედვით. 10 ივლისისათვის დამზადებულ 22.609 ტონა ჩაის მწვანე ფოთლიდან პირველი ხარისხისაა 65,5 პროცენტი. მეორე ხარისხისა —12,1 პროც., მესამე ხარისხისა— 21,4 პროც. მაშინ, როდესაც, წლიური გეგმის თანახმად პირველი ხარისხი უნდა შეადგენდეს მთელი დამზადებული ფოთლის არანაკლებ 70 პროცენტისა, მეორე ხარისხი— არაუმეტეს 14 პროცენტისა და მესამე ხარისხი—არაუმეტეს 16 პროცენტისა. ხარისხოვანი ფოთლის დამზადების მხრივ განსაკუთრებით სუსტად იბრძვიან გალის, ხობის, გეგეჭკორის, ოჩამჩირის, ჩოხატაურის, წულუკიძის, ცხაკაიას და წალენჯიხის რაიონები. ამ მხრივ კარგი მუშაობით ვერ დაიკვეხნიან ნასაკირალის, ლაითურის, წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებიც.

ჩამორჩენა ჩაის ფოთლის კრეფის და ხარისხობრივი მაჩვენებლების საქმეში იმით აიხსნება, რომ ზოგან არ არის მოწესრიგებული შრომა, შეუფასებლობას იჩენენ განუწყვეტელი კრეფისადმი და სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ ჩაის პლანტაციების დროზე დამუშავებას. მაგალითად, გეგეჭკორის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში მეოთხე და მეხუთე ბრიგადის ჩაის ნაკვეთები დასარეკლიანებული იყო. ამავე რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ფოთოლი თავის დროზე არ მოჭრიფეს, რამაც გამოიწვია გაუხუნებობა, დანაკარგები. ჩოხატაურის რაიონის სოფ. ბუკნარის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის პირველ და მეორე ბრიგადაში ცალკეული ნაკვეთები მოუვლელია, მინერალური სასუქი არ შეუტანიათ. პირველ ბრიგადაში ცუდად არის მოწყობილი შრომა. 20 მკრეფავიდან ყოველდღიურად 9-10 გამოდის სამუშაოზე. ამავე რაიონის სოფ. გორაბერეჟოულის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადაში დაბალია შრომის დისციპლინა. მაგალითად, 5 ივნისს 27 მკრეფავიდან სამუშაოზე მხოლოდ 4 გამოვიდა.

ხობის რაიონის სოფ. ხიბულის კოლმეურნეობა „ნოთეში“ პირველ, მეორე და მესამე ხარისხოვან ფოთოლს ერთმანეთში ურევდნენ, რამაც შეამცირა ხარისხიანი ფოთლის გამოსავლიანობა. ამ კოლმეურნეობის მეხუთე და მეექვსე ბრიგადაში ჩაის სამუშაოებს დილის 9-10 საათზე იწყებენ და სამუშაოს თავს ადრე ანებებენ.

ჯოლეჯიანის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელნი არ აფასებენ ჩაის დროზე კრეფის მნიშვნელობას. ამით აიხსნება, რომ აქ ფოთლის გაუხუნებას აქვს ადგილი.

ჩაის ფაბრიკები ხშირად არღვევენ დამამზადებელი პუნქტებიდან ჩაის ფოთლის გატანის დადგენილ წესებს. მაგალითად, წულუკიძის ჩაის ფაბრიკას ახალშენის დამამზადებელი პუნქტიდან ჩაის ფოთოლი გაჭმნდა მეორე-მესამე დღეს. მიღებული ჩაის ფოთლის ცუდი ხარისხის და მისი გადამუშავების ცუდი ორგანიზაციის შედეგად ჩაის ფაბრიკები ვერ ასრულებენ მზა პროდუქციის გამოშვების გეგმას ასორტიმენტის მიხედვით.

ყველა კომუნისტი, არაპარტიული ბოლშევიკი უნდა განიმსჭვალოს მეტი პასუხისმგებლობით, და ჩაის კრეფის გეგმის რაოდენობრივ შესრულებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ხარისხობრივ მაჩვენებლებს. საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე თავის საანგარიშო მოხსენებაში ამხ. **კ. ჩარკვიანმა** განაცხადა: „ბოლო უნდა მოვუღოთ ისეთ მოვლენას, როდესაც ჩვენ წლიდან წლამდე ვერ ვასრულებთ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმებს ხარისხობრივ მაჩვენებლებში“. ამხ. კ. ჩარკვიანის ამ მითითებიდან ყველა საჭირო დასკვნა უნდა გავაკეთოთ.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა სოცშეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლის საფუძველზე ურყევად უნდა დანერგონ ფოთლის განუწყვეტელი კრეფა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ნაზი ყრუ დუყების დროზე კრეფას, არ დაუშვან მათი გაუხუნება. საზიანოა აგრეთვე ნაღრევად ფოთლის კრეფა, რადგან ეს ამცირებს ჩაის მოსავლიანობას და აუარესებს მის ხარისხს.

დროზე უნდა ჩატარდეს ჩაის პლანტაციების გათოხნა-დამუშავება, განსაკუთრებით კი ჩაის ბუჩქების მწკრივებში ნიადაგის გაფხვიერება და ფარიანებით დაჩრდილებულ პლანტაციებში დროზე წაღლობა.

ჩაის გეგმების წარმატებით შესრულება, როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ, მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, თუ ზუსტად დავიცავთ ჩაის კრეფის წესებს.

პარტიის რაიკომებმა, რაისაბჭოს აღმასკომებმა, მტს-ებმა და რაიმიწგანებმა უნდა მიაღწიონ ყველა კოლმეურნეთა, კოლმეურნე ქალთა და მოზარდთა გამოსვლას ფოთლის კრეფასა და ჩაის პლანტაციების დამუშავებაზე.

პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტებმა უნდა შეამოწმონ ჩაის ფოთლის კრეფისა და დამზადების ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულება, შემოწმების შედეგები განიხილონ პიუროების სხდომებზე და დაუსახონ თვითეულ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობასა და ფაბრიკას კონკრეტული ზომები, რომლებმაც უნდა უზრუნველჰყოს **ჩაის ფოთლის დამზადებისა და გადამუშავების ხარისხობრივი მაჩვენებლების აუცილებელი შესრულება.**

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა შეხრულებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ზუსტად იქნება დაცული ხარისხობრივი მაჩვენებლები როგორც მწვანე ფოთლის, ისე ჩაის ფაბრიკების მიერ გამოშვებული მზა პროდუქციის დარგში.

ბულგარეთის დესპანის ბ-ნ ი. სჯამენოვის მიღება ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ

ა. წ. 13 ივლისს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა **ვ. მ. მოლოტოვმა** მიიღო ბულგარეთის ახალი საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი **ი. სტამენოვი.**

ჩწმუნების სიგელის გადაცემა საბერძნეთის დესპან ბ-ნ ხ. დიამანდოპულოსის მიერ

13 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. **მ. ი. კალინინმა** მიიღო საბერძნეთის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი **ხ. დიამანტოპულოსი,** რომელმაც ჩააბარა თავისი რწმუნების სიგელი.

საინტერესო გამოუვენა

მოსკოვი, (ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.). სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი ამზადებს გამოფენას თემაზე: ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. რუმინელი ბატონებისაგან განთავისუფლებულ მხარეში მიემგზავრება მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელთა ექსპედიცია. მუზეუმს აქვს აგრეთვე ამ რაიონებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების დიდი ფონდი. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ეგრეთწოდებული „ბესარაბიის განძი“, რაც აღმოჩენილია აკერმანთან და შესდგება სხვადასხვა სახის იარაღისაგან, რომელიც ეკუთვნოდა ამ ადგილზე 3½ ათასი წლის წინათ მცხოვრებ ხალხს.

ფიზკულტურელთა ჩამოსვლა მოსკოვში

მოსკოვი, 12 ივლისი **(ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.).** დაიწყო მოკავშირე რესპუბლიკების ფიზკულტურელთა დელეგაციების ჩამოსვლა იმ პარადში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც 21 ივლისს წითელ მოედანზე შესდგება. გუშინ ჩამოვიდნენ ტაჯიკეთის ფიზკულტურელები. მათ ჩამოიტანეს გამოსვლათა დიდი პროგრამა, რომელშიც ცენტრალური ადგილი დათმობილი ექნება ბანშის არხით წყლის გაშვებისა და ჰამირზე რკინიგზის მშენებლობის ჩვენებას. დღეს ჩამოდიან ფიზკულტურელები ყირგიზეთიდან. მოსკოველი სპორტსმენები ენერგიულად ვარჯიშობენ თავიანთ სტადიონებზე.

ლატვიის სამხედრო მინისტრის ბრძანება არმიის პოლიტიკურ ხელმძღვანელთა უფლებების შესახებ

რიგა, 11 ივლისი (საკდესი). ლატვიის სამხედრო მინისტრმა გენერალმა დამბიტისმა არმიაში პოლიტიკურ ხელმძღვანელთა დანიშვნასთან დაკავშირებით ბრძანება გამოსცა. ამ ბრძანებით არმიის პოლიტიკურ ხელმძღვანელს ენიჭება დივიზიის მეთაურის უფლებები, არმიის პოლიტიკურ ხელმძღვანელთა თანაშემწეებს და დივიზიათა პოლიტიკურ ხელმძღვანელებს — პოლკის მეთაურის უფლებები, დივიზიის პოლიტიკურ ხელმძღვანელთა თანაშემწეებს და პოლკების პოლიტიკურ ხელმძღვანელებს — ბატალიონის მეთაურის უფლებები, დანარჩენ პოლიტიკურ მუშაკებს— ასეულის მეთაურის უფლებები.

გამოიცა აგრეთვე ბრძანება ფორმისა და წარჩინების ნიშნების შესახებ, რომლებიც პოლიტიკურ ხელმძღვანელებს მიეკუთვნებათ. არმიისა და ფლოტის პოლიტიკურ ხელმძღვანელებს ოფიცრის ფორმა მიეკუთვნათ.

უკანასკნელი ცნობები

საფრანგეთის მთავრობის ახალი შემადგენლობა

ბეჩლინი, 13 ივლისი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო ბერნიდან იუწყება, საფრანგეთის ახალი მთავრობა, რომელიც მარშალმა პეტენმა დანიშნა, შემდეგ პირთაგან შესდგება: პრემიერ-მინისტრის მოადგილე — სენატორი პიერ ლავალი; იუსტიციის მინისტრი — სახელმწიფო საბჭოს წევრი რაფაელ ალბერი, შინაგან საქმეთა მინისტრი — დეპუტატი ადრიან მარკე, საგარეო საქმეთა მინისტრი პოლ ბოდუენი, ფინანსთა მინისტრი — ივ. ბუტილიე, თავდაცვის მინისტრი, მთავარსარდალი — გენერალი ვეიგანი; განათლებისა და ხელოვნებათა მინისტრი ემილ მირო; ახალგაზრდობისა და ოჯახის დაცვის მინისტრი—დეპუტატი ჟან იბარნეგარე, მიწათმოქმედებისა და სურსათის მინისტრი-სასოფლო-სამეურნეო აკადემიის წევრი პიერ კაზპო; გზათა მინისტრი-დეპუტატი პიეტრი; კოლონიათა მინისტრი — სენატორი ლემერი. კაბინეტის წევრებს ეწოდებათ „მინისტრი — სტატს-სეკრეტარი“.

დანიშნული არიან აგრეთვე თავდაცვის მინისტრის შემდეგი მოადგილეები: არმიის ხაზით—გენერალი კოლსონი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხაზით—მთავარსარდალი ადმირალი დარლანი, ავიაციის ხაზით—ავიაციის გენერალი პიუჟო.

ᲓᲘᲖᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ

ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲘ, 12 ივლისი (საკდესი). გუშინ, საღამოს, კაუნასში ჩამოვიდა გლეხთა ლაშქრობის მეწინავე კოლონა. ასეთი რამ ლიტვის ისტორიას არ ახსოვს. წინ ღონიერი ცხენებით მოდიოდა სამი მედროშე, რომლებსაც წითელი შარფები ჰქონდათ მხრებზე გადაგდებული. მათ მოჰყვებოდა უამრავი ვეებერთელა ფორანი, რომლებშიაც შებმული იყო სამ-სამი ბედუარი. ფორნებზე ისხდნენ სადღესასწაულოდ მორთული გლეხი ქალები და მამაკაცები, რომელნიც ლიტვის ყველა მაზრიდან ჩამოვიდნენ დედაქალაქში, რათა დაესწრონ მუშათა და გლეხთა მეგობრობის მიტინგს, „ლიტვის მშრომელი ხალხის კავშირის“ მიერ მოწვეულს.

არაჩვეულებრივი პროცესია გადართა კაუნასის ყველაზე დიდი მოედნისაკენ, ვილეიშისს მოედნისაკენ. გლეხებს უკან მიჰყვებოდნენ მუშათა და მოსამსახურეთა კოლონები, რომლებსაც დროშები და წინასაარჩევნო ტრანსპარანტები ეჭირათ. დემონსტრანტებს მოჰქონდათ ამხანაგ **სტალინის, მოლოტოვის, ვოროშილოვის** და **ტიმოშენკოს** პორტრეტები. ჩაიარეს ლიტვის სახალხო არმიის ნაწილებმა. ოფიცრების გვერდით პირველად მოდიოდნენ პოლიტხელები და ჯარისკაცთა კომიტეტების თავმჯდომარენი. 6 საათისათვის მოედანზე 100 ათასზე მეტმა კაცმა მოიყარა თავი. მოედანზე რომ ვერ დაეტია, ხალხი მოედნის განაპირა ქუჩების სახლთა აივნებზე, რაფებზე და სახურავებზეც კი მოთავსდა.

ეს იყო ყველაზე დიდი მიტინგი, როგორიც კი ოდესმე უნახავს ლიტვის დედაქალაქს. მიტინგს ახასიათებდა გულითადობის, მეგობრული ერთიანობის დღემდე უმაგალითო ატმოსფერო. ხალხი ერთი აზრით იყო გამსჭვალული. პრემიერ-მინისტრმა, პრეზიდენტის მოვალეობის აღმსრულებელმა პალეცკისმაც, მუშა შუმაუსკასმაც, გლეხმა სიდორაუსმაც თითქმის ერთი და იმავე სიტყვებით ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ სმეტონას წყეული რეჟიმი სამუდამოდ უნდა გაჭრეს, რომ მისი ადგილი უნდა დაიკავოს და აუცილებლად დაიკავებს ახალი, სახალხო ლიტვა.

ასი ათასი კაცი, მათ რომ ყურადღებით უსმენდა ორატორებთან თანხმობას გამოჰხატავდა, მქუხარე ტაშით ხვდებოდა მათ. როცა ერთერთმა ორატორმა შესძახა: **„გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“** მოწონების ნიშნად, ასი ათასმაგი დამსწრენ ერთი კაცივით მძლავრად დაიგრიალა მოედანზე: „ვალე!“

„დადგა დრო, რომელსაც დიდხანს ელოდნენ ლიტვის შვილები,— დაიწყო თავისი სიტყვა იუსტას პალეცკისმა. — ჩვენი თვალი ხედავს, ჩვენი გული გრძნობს დიდი ხნის მისწრაფებათა განხორციელებას“.

შეეხო რა შემდეგ სმეტონელთა პროვოკაციულ მუშაობას, რომელნიც კუთხეებში მიიმალნენ და ოხრაღი არ დაუყრიათ, პალეცკისმა განაცხადა:

„თუ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც გაკვირვებას გამოსთქვამენ, რომ ჩვენში ლეგალიზებულია მარტო კომუნისტური პარტია, მოითხოვონ მათ, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტიის დროშას არ მოსცხებია ლაქა; ყველა დანარჩენი პარტია გაკოტრდა და ბოლოს იქამდე მივიდა, რომ მხარი დაუჭირა სმეტონას დამპალ რეჟიმს“.

პრეზიდენტის შემდეგ გამოვიდა მიწათმოქმედების მინისტრი, მიცკისი, რომელმაც სთქვა, რომ სახალხო მთავრობა სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას არა იმისათვის, რომ გლეხებს წაართვას მიწა, როგორც ცოლს გვწამებენ ხალხის მტრები, არამედ იმისთვის, რომ მისცეს გლეხებს მიწა.

გრძნობით აღსავსე იყო შაულიაის მაზრის კულჩინის თემის სოფელ გეროლას მოხუცი გლეხის სიდორიუსის გამოსვლა. თავისი სიტყვის დასაწყისში მან აღნიშნა, რომ საოცარი ცვლილება მოხდა გლეხთა არა მარტო ცხოვრებაში, არამედ მათს ხასიათშიაც.

წინათ, — სთქვა მან, — გლეხებს ეშინოდათ მიახლოვებოდნენ პრეზიდენტს, მათ არც კი მიუშვებდნენ პრეზიდენტთან, რათა ქალაქნებით არ გაეჭუჭყიანებიათ იქაურობა. ახლა კი აი მე ვდგევარ ამ ადგილზე, სადაც ეს არის ახლა იდგა და ლაპარაკობდა პრეზიდენტი; სმეტონელები ბევრს ლაპარაკობდნენ გლეხებზე, ნამდვილად კი ისე უყურებდნენ, როგორც პირუტყვს. ლაპარაკობდნენ, სწერდნენ გაზეთებში, რომ დახმარებას უწევენ გლეხებს, ამ „დახმარებით“ კი სახლეებს იშენებდნენ. ჩვენ მოვითხოვდით პურს, ისინი კი გვიმასპინძლებოდნენ სასამართლოს ბოქაულებით, კატორღით და საჯარო ვაჭრობით, რომლითაც გლეხს უკანასკნელ ცხენს უყიდდნენ. სმეტონელი მეცნიერები და მწერლები ცდილობდნენ აეხსნათ, თუ რა მიზეზით ღარიბდებოდა ლიტველი გლეხი და, როგორც ჩანს, საკუთარი მაგალითის მიხედვით თვითონვე უპასუხებდნენ: „ლოთობისაგან“.

შესანიშნავი ჰუმორით, გესლიანი სარკაზმით ლაპარაკობს გლეხი სმეტონას მეჩრთამე მოხელეებზე, სისხლისმსმელ მემამულეებზე, წლანდელი რეჟიმის ყოველგვარ შეცოდებაზე.

ზედიზედ ადიან ტრიბუნაზე გლეხები—ლიტვის სხვადასხვა მაზრის წარმომადგენელნი. ისინი ჯერ კიდევ ცუდადვად ლაპარაკობენ, ენა ებმით, შემდეგ კი თამამდებიან და თავისუფლად მოუთხრობენ მიტინგის მონაწილეთ გლეხის მძიმე ცხოვრებას.

ისინი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ის ორი წელიდა, რომ იგი არასოდეს არ დაბრუნდება, და ამის იავდებად თავიანთ სახალხო მთავრობას, ახალ სახალხო სეიმს სთვლიან. „ლიტვის მშრომელი ხალხის კავშირის“ პლატფორმას ისინი ყველას გასაგონად აცხადებენ თავიანთ პლატფორმად; როგორც ერთერთმა გლეხმა ორატორმა გაიცხადა, ისინი „ორივე ხელს აწერენ მას“.

სეიმის არჩევნებში გლეხები მუშებთან ერთად, მთელ მშრომელ ხალხთან ერთად გამოვლენ.

ჯარისკაცთა წარმომადგენელნი სავსებით შეუერთდნენ გლეხთა და მუშათა დელეგატების გამოსვლებს.

„ჩვენ, — როგორც ჯარისკაცმა ონუშაიმა განაცხადა, — მხოლოდ ხალხთან გვაქვს ერთი გზა“.

მიტინგის შემდეგ, რომელიც არაჩვეულებრივი აქტივობით და აღფრთოვანებით ჩატარდა, ყველა მისი მონაწილე გაემართა ქალაქის ქუჩებში. ეს იყო ყველაზე გრანდიოზული და ყველაზე ამაღელვებელი დემონსტრაცია იმ დემონსტრაციათა შორის, რომელიც კი ლიტვის დედაქალაქს უნახავს ამ უკანასკნელ მღელვარე დროში.

დემონსტრანტები გაემართნენ მინისტრთა საბჭოსკენ, სადაც მათ მიესალმა პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი პროფესორი კრევე-მიცკევიჩიუსი. მინისტრთა საბჭოდან დემონსტრანტები გაემართნენ საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შენობისაკენ. შენობის წინ გაიმართა მოკლე მიტინგი. ამის შემდეგ დემონსტრანტთა კოლონები ქალაქის ცენტრალური ქუჩებით გაემართნენ. დემონსტრაცია შუაღამემდე გაგრძელდა.

მშრომელები მხარს უჭერენ „ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებს

ტალინი, 12 ივლისი (საკდესი). დამთავრდა ესტონეთის ახალი სახელმწიფო სათათბიროს კანდიდატთა დასახელება. ყველა საარჩევნო ოლქში წამოყენებული და საოლქო კომისიების მიერ რეგისტრირებული არიან „ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატები. ზოგიერთ საარჩევნო ოლქში რეაქციონერები ცდილობდნენ „ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებთან ერთად თავიანთი კანდიდატებიც წამოეყენებინათ, ზოგიერთ ადგილას ცდილობდნენ ჩაეშალათ წინასაარჩევნო კრება. ვარბლასის თემში მტრულ ელემენტებს უნდოდათ ჩაეშალათ წინასაარჩევნო კრება, მაგრამ მშრომელმა გლეხობამ მათ სათანადო პასუხი გასცა. გლეხებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი „ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირის“ პლატფორმას და მისალმება გაუგზავნეს ახალ მთავრობას, ესტონეთის კომპარტიას, წითელ არმიას და ხალხთა ბელადს—ამხანაგ **სტალინს.**

ტალინის 9 საარჩევნო ოლქში რეაქციონერმა ჟურნალისტმა, ყოფილი მთავრობის მომხრემ, სალუარდმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა და დაუპირისპირა იგი „ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატს, მაგრამ 50 სარეკომენდაციო ხელმოწერაც კი ვერ შეაგროვა, რასაც საარჩევნო კანონი მოითხოვს.

რეაქციონერები სხვადასხვა პროვოკაციულ ხმებს ავრცელებენ, განსაკუთრებით გლეხებში, მაგრამ ესტონეთის მშრომელი ხალხი პროპოგატორთა ანკესზე არ წამოეგება. მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია ყველგან მიესალმებიან „ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირის“, პლატფორმას და მხარს უჭერენ მის კანდიდატებს. ჭ. ვალგაში ხალხმრავალ წინასაარჩევნო კრებაზე გამოვიდნენ ა. პიასი და ი. ოინასი, რომლებიც „ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირმა“ წამოაყენა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატებად. მშრომელნი მათ მქუხარე ტაშით შეხვდნენ. ბევრმა ყვავილები მიართვა. „ეს დეპუტატები ჩვენი ადამიანები არიან“ — ამბობდნენ ამომრჩეველნი. ისინი მუდამ იბრძოდნენ რეაქციის წინააღმდეგ. ყველა ორატორი მხარს უჭერდა „ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებს.

საარჩევნო კამპანიამ მასების პოლიტიკური აქტივობა გაადიდა. გაძლიერდნენ მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის პროფკავშირები, როგორც ქალაქში, ისე სოფლად.

ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ

რიგა, 11 ივლისი (საკდესი). ლატვიის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრმა დამბიტისმა თადარიგში გადაყვანილი ლეიტენანტი ბრუნო კალნინში ლატვიის არმიის პოლიტიკური ხელმძღვანელის მოვალეობის დროებითი აღმსრულებლად დანიშნა.

ბრუნო კალნინში დაიბადა 1899 წელს ქალაქ ტუკუმსში. დაამთავრა ლატვიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიიღო სამართლის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. იგი გამოჩენილი საზოგადო-პოლიტიკური მოღვაწეა. 1917 წელს იყო რიგის მუშათა დეპუტატების საბჭოს მდივანი. იყო დამფუძნებელი კრების წევრი; უცვლელად იყო სეიმის დეპუტატი. 15 წლის განმავლობაში მუშაობდა სეიმის სამხედრო კომისიის მდივნად.

1934 წელს იგი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის დაუპატიმრეს ძველი მთავრობის ბრძანებით და მისი საქმე გადაეცა სამხედრო სასამართლოს, რომელმაც სამი წლის პატიმრობა მიუსაჯა. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ემიგრანტი გახდა. 1939 წლის ნოემბერს ლატვიის ყოფილმა მთავრობამ ლატვიის მოქალაქეობა წაართვა მას. ბრუნო კალნინში ლატვიაში დაბრუნდა ა. წ. 3 ივლისს.

მხურვალედ იწონებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას

მაღალხარისხოვანი კომპლექტებით პროდუქციას მივცეთ ჩვენს ქვეყანას

თბილისის კამოს სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში სისტემატურად ირღვეოდა სტანდარტები, არაკომპლექტურ პროდუქციას უშვებდნენ. აპრილში ქარხანამ 19 სახარატო ჩარხი გამოუშვა. მათ აკლდათ მხოლოდ გადასაცემი მექანიზმები ე. წ. კონტრამაძრავები, რომელთა დამზადებაც დააგვიანა თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანამ. მიუხედავად ამისა, ჩარხები მაინც გაუგზავნეს დამკვეთთ უკონტრამაძრავებოდ.

ქარხანაში ადგილი ჰქონდა სტანდარტების დარღვევასაც. სამაგრი დეტალები (ხანჯიკები, ქანჩები) წინანდებურადვე დიუიმიანი იკუთხება ნაცვლად იმისა, რომ როგორც ამას დაწესებული სტანდარტი მოითხოვს, მილიმეტრიანი კუთხვილით დაამზადონ. დღემდე ქარხანას საქართველოს სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მანქანათმშენებლობის მთავარი სამმართველოს მოთარავების განყოფილებაში ვერ მიუღია ლინდესის გამხრახნები (სახრახნი იარაღი) ჰანჯიკსაკუთხი ჩარხისათვის. ამ სახრახნი იარაღის უქონლად ქარხანას არ შეუძლია სტანდარტის მიხედვით გააკეთოს სამაგრი მასალა.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ბოლო ეღება გამოშვებული პროდუქციის ხარისხისადმი უპასუხისმგებლო მოპყრობას, — ამბობს ქარხნის მთავარი ინჟინერი დ. ემელიანოვი. არაკომპლექტურ, ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის, სავალდებულო სტანდარტების დარღვევისათვის კონკრეტული დამნაშავეები მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით. ჩვენი ქარხანა ჩარხებს ამზადებს საბჭოთა კავშირის ფაბრიკა-ქარხნებისათვის. ჩვენ მოვალე ვართ ყველაზე მაღალხარისხოვანი პროდუქცია მივცეთ მომხმარებელთ.

13 ივლისს სასადილო შესვენების დროს კამოს სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის 6 აგიტატორმა სხვადასხვა საამქროს მუშებში მოაწყო გაზეთის ხმამაღლა წაკითხვა და გააცნო მათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 10 ივლისის ბრძანებულება. ქარხნის მუშები მხურვალედ იწონებდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისადმი.

15-16 ივლისს ქარხანაში მოიწყობა საწარმოო თათბირი, სადაც განხილულ იქნება ის ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ მხოლოდდამხოლოდ კარგი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას. (საქდესი).

ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲠᲙᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, დიდი კმაყოფილებით შეეგება თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკის —„საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივი.

— ეს ბრძანებულება, — აღნიშნავს ფაბრიკის დირექტორი, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ო. მდინარაძე, — უდიდეს როლს შეასრულებს ჩვენ მიერ გამოშვებული მაუდეულის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. ახალი კანონი ადიდებს წარმოების დირექტორებისა და ტექნიკურ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას. ბრძანებულება უთუოდ წაახალისებს ყველა მუშას, დისციპლინას განამტკიცებს მათ შორის, დაარაზმავს მათ, რათა შემდგომი ბრძოლა აწარმოონ ხარისხისათვის. ფაბრიკის კოლექტივი ველარ აიტანს წუნის მკეთებელთ.

შარშან სუსტმა ტექნიკურმა ხელმძღვანელობამ, გამოშვებული პროდუქციის არასაკმარისმა კონტროლმა დასცა მაღეულის ხარისხიანობა. გეგმით გათვალისწინებული 79,4 პროცენტის ნაცვლად ფაბრიკამ მხოლოდ 54 პროცენტი პირველი ხარისხის ქსოვილი მოგვცა. 37 ათას მეტრზე მეტი ქსოვილი არახარისხოვანი აღმოჩნდა. პროდუქციის დაბალი ხარისხის გამო 1939 წელს დაკარგულია 761 ათასი მანეთი. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ფაბრიკამ ვერ შეასრულა აგრეთვე პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გეგმა. წლის პირველ ნახევარში დაახლოებით 19 ათასი მეტრი არახარისხოვანი ქსოვილი აღმოჩნდა.

— ჩვენმა კოლექტივმა მიაღწია ქსოვილის ხარისხის გაუმჯობესებას მეორე კვარტალში, — ამბობს ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. ჩარაევი. მაგრამ ჩვენ ამით არ შეგვიძლია თავი დავიმშვიდოთ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება პარტიული ორგანიზაციის წინაშე, ფაბრიკის მთელი კოლექტივის წინაშე ახ

„ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ საარჩევნო ლოზუნგები

რიგა, 12 ივლისი (საკდესი). ლატვიურ პრესაში გამოქვეყნდა „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ საარჩევნო ლოზუნგები.

ლატვიელი ხალხი 14 ივლისს ამ ლოზუნგებით წავა საარჩევნო ყუთებისაკენ და თავის საუკეთესო შვილებს აირჩევს ახალ სეიმში. „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ ლოზუნგები გამოხატავენ ლატვიის ფართო მშრომელი მასების სასიცოცხლო ინტერესებს. ისინი წარმოადგენენ ახალი, თავისუფალი, დემოკრატიული ლატვიისათვის, ლატვიელი ხალხის ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრებისათვის ბრძოლის პროგრამას.

ლოზუნგები ამბობენ:

მშვიდობიანობისათვის, პურისათვის, ხალხის თავისუფლებისათვის!

თუ სამართლიანი, თავისუფალი ცხოვრება გინდა, ხმა მიეცი „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებს!

ვისაც მშვიდობიანობა გსურთ, განამტკიცეთ მეგობრობა და მკვიდრი კავშირი სსრ კავშირთან!

გაუმარჯოს მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის ურღვევ კავშირს!

მადლობა წითელ არმიას, რომელიც იცავს მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მშვიდობიან შრომას!

განვამტკიცოთ მეგობრობა დიდს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან!

გლეხო, თუ გსურს გააუმჯობესო და განამტკიცო შენი მეურნეობა, ხმა მიეცი „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებს!

გლეხებო, „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირი“ სახელმწიფოსაგან მოითხოვს აღმოუჩინოს დახმარება უმიწო და მცირემიწიან გლეხებს მიწის შეძენაში. ხმა მიეცით „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებს!

მოსამსახურეებო და მშრომელო ინტელიგენციავ! ხმა მიეცით „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებს! ისინი იბრძვიან მოსამსახურეებისა და ინტელიგენციის ცხოვრებისა და შრომის გაუმჯობესებისათვის, ინტელიგენციის შორის უმუშევრობის გადაჭრით აღმოფხვრისათვის!

მუშა-ქალებო, გლეხო ქალებო, მოსამსახურე ქალებო, დიასახლისებო! „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირი“ იცავს თქვენს საარსებო ინტერესებს! დაიარაზმენით „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ გარშემო, ხმა მიეცით მის კანდიდატებს, ლატვიის ქალის თავისუფლებასა და თანასწორუფლებიანობას!

ფართო გზა ქალს, ლატვიის თანასწორუფლებიან და თავისუფალ მოქალაქეს!

ვიბრძოლოთ დედათა და ბავშვთა დაცვის გაფართოებისათვის, ბაგე-ბის, საბავშვო სახლების, საბავშვო ბაღებისა და ბავშვთა კონსულტაციების ორგანიზაციისათვის! ჩვენი შვილების ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრებისათვის!

„ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირი“ იბრძვის მუშა და გლეხი ახალგაზრდობის ბედნიერებისათვის, მისი უფლებებისათვის, მისი სულიერი და ფიზიკური კულტურის ზრდისათვის. გაუმარჯოს ლატვიის მშრომელ ახალგაზრდობას!

ლატვიის ქალ-ვაჟნო! თავისუფალ ლატვიაში თქვენს წინაშე გახსნილია შემოქმედების, შრომისა და სწავლების ფართო გზა! მხარი დაუჭირეთ „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირს“.

ძველი პოლიციური რეჟიმი არა მარტო სპატიმრობაში აღპობდა ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს, არამედ ცდილობდა ხალხის სპატიმროდ გადაქცია მთელი ლატვია. ძირს რეაქციული ხროვა და მისი დამჭაობი! ვინც წყეული წარსულისაკენ დაბრუნების წინააღმდეგია, მან ხმა უნდა მისცეს „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებს.

„ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირი“ მოითხოვს, რომ ლატვიის არმია ფეხდაფეხ მიჰყვებოდეს ხალხს, იცავდეს მის თავისუფალ ცხოვრებას, რომ არმია მონაწილეობას იღებდეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ არმიაში დემოკრატიული წესრიგი დამყარდეს. გაუმარჯოს ლატვიის არმიის დემოკრატიზაციას!

მოვითხოვთ, რომ სახალხო განათლება საყოველთაო, ხელმისაწვდომი და უფასო გახდეს, რომ საშუალო და უმაღლესი სკოლის კარები ფართოდ გაიღოს მშრომელთა შვილებისათვის. ამისათვის იბრძვის „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირი“. ხმა მიეცით მის კანდიდატებს!

ძველი რეაქციული რეჟიმი შოვინიზმის შხამით სწამლავდა ხალხის შეგნებასა და შეულესა და მტრობას სთესავდა ერთა შორის. ძირს შოვინიზმი, ნაციონალური უთანასწორობა და ნაციონალურ უმცირესობათა შევიწროება! გაუმარჯოს ყველა ერის თანასწორუფლებიანობას.

განამტკიცეთ ლატვიის ხალხის ორგანიზებულობა, ერთიანობა და დისციპლინა. არ დაინდოთ ხალხის მტრები, პროვოკატორები და ცილისმწამებლები.

არცერთი ხმა არ მისცეთ ჩვენი მოთხოვნების, ჩვენი პლატფორმის მოწინააღმდეგეთ! 14 და 15 ივლისს ყველამ მიიღეთ მონაწილეობა არჩევნებში!

ვიბრძოლოთ „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატთა სრული გამარჯვებისათვის!“

პრესის მუშაკებო, მუშსოფკორებო!

ვემზადოთ 1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის

ფართოდ გამოვიყენოთ მოწინავე გაზეთების გამოცდილება

ჩვენ ჩამოვედით დიდი **სტალინის** სამშობლო — გორის რაიონიდან გაზეთ **„კომუნისტის“** რედაქციის ინიციატივით მოწყობილ ძირეული პრესის მუშაკთა **შემოქმედებითს შეხვედრაზე.** წინათ ასეთი რამ ჩვენში არ ხდებოდა. აქ ჩვენ შევხვდით თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს ძირეული პრესის მუშაკებს მუშკორთა აქტივთან ერთად.

ძირეული პრესის მუშაკთა შემოქმედებითმა შეხვედრამ ჩვენ დიდი სარგებლობა მოგვიტანა. ჯერჯერობით, შესანიშნავია აყვავებული საბჭოთა უკრაინის ძირეული პრესის მუშაკთა გამოცდილება. ამიერიდან ჩვენ ვიწყებთ ძირეული პრესის მუშაობის ნამდვილად გარდაქმნას მომძლე უკრაინელების მუშაობის მაგალითის მიხედვით.

ჩვენი სამშობლოს ხალხნი შესანიშნავ ეპოქაში ცხოვრობენ. კეთდება დიდი ისტორიული მნიშვნელობის საქმეები. საკოლმეურნეო სოფელი ემზადება 1941 წლის დიდი გამოფენისათვის.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის 1941 წელშიაც განგრძობის შესახებ, უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია. ახალი ენტუზიაზმით მუშაობენ თვითეულ ქარხანაში, მტს-ში, საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში. საკოლმეურნეო ძირეული პრესა—ადგილობრივი ცხოვრების ეს სარკე—ფრიად პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგას — ბოლშევიკურად ემზადოს სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობისათვის.

ასეთ მომენტში დაუფასებელია ის გამოცდილება, რომელიც ჩვენ მივიღეთ თბილისელ ამხანაგებთან შემოქმედებითს შეხვედრაზე. აქ ჩვენ გავეცანით გაზეთ „ბიუგელის“ რედაქციის მასობრივ მუშაობას, ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს ფაბრიკა — კალის გაზეთების **„კრივონოსელის“** და **„ელექტრო-ტრანსპორტის მუშაკის“** სარედაქციო კოლეგიების საქმიანობას. მათ გამოცდილებას ჩვენს შემდგომ მუშაობაში გამოვიყენებთ.

შემოქმედებითს შეხვედრაზე ჩვენ მოვუსმინეთ საბჭოთა კავშირის გმირს, უფროს პოლიტხელს **ილია ხმალაძეს.** მან გვიამბო, თუ როგორ აწადგურებდა ჩვენი წითელი არმია მანერჰაიმის ბანდებს. ვნახეთ ავრეთვე შესანიშნავი ფილმი „ლენინი 1918 წელს“.

გორში, საიდანაც ჩვენ ჩამოვედით, დაიბადა კაცობრიობის უდიდესი ადამიანი, **ლენინის** საქმის დიადი განმგრძობი ამხანაგი **სტალინი.**

ახლა ჩვენი შემოქმედებითი შეხვედრა მოხდა იქ, სადაც 40 წლის წინათ თბილისის ს. დ. ცენტრალურმა ჯგუფმა ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით, „კონკის“ მუშებს შორის შექმნა ძლიერი სოციალ-დემოკრატიული წრე. მაშინ „კონკის“ მუშები მუშაობის მძიმე პირობების გამო უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდნენ; მათ შორის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით რევოლუციურ მუშაობას აწარმოებდა ჩვენი თანასოფლელი **ლადო კეცხოველი.** მან 1900 წელს პირველი ინვრისათვის მოაწყო „კონკის“ მუშების უდიდესი გაფიცვა.

როდესაც ვიგონეთ სახელოვანი ბრძოლის წარსულს და ვადარებთ ჩვენს ახლანდელ ბედნიერ ცხოვრებას, — განცვიფრებაში მოვდივართ და გული სიამაყით ივსება. ვირაზმებით იმისათვის, რომ მიღებული გამოცდილებით მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ ძირეული პრესის მუშაობა და მივაღწიოთ იმას, რომ 1941 წლის სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მივიღოთ მონაწილეობა.

ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს რესპუბლიკის რაიონული ძირეული პრესის მუშაკებს და მუშსოფკორებს, რათა აქედანვე ფართოდ გაშალონ მუშაობა 1941 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ი. მამალაძე (გორის რაიგაზეთის „სტალინელის“ რედაქტორი). **ს. თარხნიშვილი** (სოფ. ახალციხის ჩოდრაშვილის სახ. კოლმეურნეობის 5-დღიური კედლის გაზეთ „კოლმეურნის ხმის“ რედაქტორი), **თ. ლიჩელი** (სოფ. ტყვიავის კოლმეურნეობა „ახალი შუქის“ კედლის გაზეთ „სოციალიზმის გზით“-ის რედაქტორი), **ვ. ჩიტუნავიშვილი** (სოფ. ქვემო-მოსკრის მესამე ინტერნაციონალის სახ. კოლმეურნეობის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრი), **ნ. მურუგაშვილი** (სოფ. ბერბუკის ბერიას სახ. კოლმეურნეობის კედლის გაზეთის რედაქტორი, კოლმეურნეობის ბრიგადის ბრიგადირი), **პ. ხარატიშვილი** (გორის მტს-ის კედლის გაზეთ „ტრაქტორისტის“ რედაქტორი, მტს-ის აგრონომი), **გ. ჩხეტიანი** (გორის საკონსერვო ქარხნის მზა პროდუქციის საამქროს კედლის გაზეთ „სტახანოველთა ხმის“ რედაქტორი), **გ. ხიტირია** (რკინიგზის გორის სადგურის კედლის გაზეთ „სტალინის გზით“-ის რედაქტორის მოადგილე), **ი. ჯანეზაშვილი** (სოფ. ხელთუბნის კოლმეურნეობა „ჯანთიადის“ თავმჯდომარე, მთავარ სადამფენო კომიტეტის მიერ ოქროს დიდი მედლით დაჯილდოებული), **ი. ლარგაიძე** (სოფ. ქვეშის კოლმეურნეობის მესაქონლეობის ფერმის გამგე), **ნ. გოჟოჩაძე** (გორის მტს-ის კედლის გაზეთ „ტრაქტორისტის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი), **თ. აბალაკი** და **თ. ელიშაშოგა** (რაიგაზეთ „სტალინელის“ კორესპონდენტები), **გ. ჩიხლაძე** (სოფ. ტყვიავის კოლმეურნეობა „ახალ შრომის“ წევრი).

ძირეული პრესის მუშაკთა შემოქმედებითი შეხვედრა

გუშინ, 13 ივლისს თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა კლუბში, იქ, სადაც 40 წლის წინათ ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით უშიშარმა ბოლშევიკმა ამხ. **ლ. კეცხოველმა** მოაწყო „კონკის“ მუშების გაფიცვა,—ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს და გორის რაიონის ძირეული პრესის მუშაკები. მათ წინასწარ დაათვალიერეს კლუბში მოწყობილი შრომალტრაჟაიანი და კედლის გაზეთების გამოფენა.

ძირეული პრესის მუშაკთა შემოქმედებითი შეხვედრა, რომელზედაც შესავალი სიტყვით გამოვიდა გაზეთ **„კომუნისტის“** რედაქციის წარმომადგენელი ამხ. ა. კოკალაშვილი, ერთმანეთის გამოცდილებათა საქმიანი გაზიარების ვითარებაში ჩატარდა. შემოქმედებითი შეხვედრის მონაწილეებმა მოისმინეს გაზეთ **„ბიუგელის“** მასობრივი მუშაობის შესახებ მისი რედაქტორის ამხ. ვ. სიხარულიძის მოხსენება. მოძრაობის მეორე რაიონის და ტროლეიბუსების მოძრაობის კედლის გაზეთების **„კრივონოსელის“** და **„ელექტროტრანსპორტის მუშაკის“** რედაქტორების ამხ. ა. პირტახიას და ა. კუნჭულიას მოხსენებები ტრამვაის საამქროების კედლის გაზეთთა მუშაობის გამოცდილების შესახებ. მოსმენილ იქნა აგრეთვე ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს უფროსის მოადგილის ამხ. ვ. გიორგობაიანის მოხსენება — კედლის გაზეთებში მოთავსებული შენიშვნებზე გამოხმაურების შესახებ.

თვითეულის მოხსენება შემოქმედებითი შეხვედრის მონაწილეთათვის წარმოადგენდა მუშაობის იმ გამოცდილებათა ჩვენებას, რომელიც დაგროვეს თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს ძირეული პრესის მუშაკებმა.

შემოქმედებითის შეხვედრაზე სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ი. მამალაძემ (გორის რაიგაზეთის „სტალინელის“ პასუხისმგებელი რედაქტორი), ვ. ჩიტუნავიშვილმა (გორის რაიონის სოფ. ქვეშის კედლის გაზეთის — „კომუნიზმის გზით“-ის რედაქტორი), და პ. ხარატიშვილმა (გორის მტს-ის კედლის გაზეთის „ტრაქტორისტის“ რედაქტორი).

შემოქმედებითი შეხვედრის მონაწილემ გორის რაიონიდან, ხუთდიაური კედლის გაზეთის რედაქტორმა ამხ. ს. თარხნიშვილმა განაცხადა: ამ შემოქმედებითი შეხვედრის მოწყობით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ მეტად კარგი საქმე გააკეთა. ეს იყო ერთმანეთის გამოცდილებათა გაზიარების საუკეთესო საშუალება. ბელადის სამშობლო რაიონის ძირეული პრესის მუშაკები ვაცხადებთ, რომ თბილისის ძირეული პრესის მუშაკთა გამოცდილების გადატანით, ძირეული პრესის ხაზითაც მოვიპოვებთ 1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლებას.

ძირეული პრესის მუშაკთა შემოქმედებითი შეხვედრა დასასრულს უახლოვდება. ამ დროს ტრიბუნაზე გამოჩნდა საბჭოთა კავშირის გმირი, უფროსი პოლიტხელი ამხ. **ი. ხმალაძე,** რომელსაც დარბაზში მსჯდომნი ხანგრძლივი ტაშით შეეგებნენ.

საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. ხმალაძემ შემოქმედებითი შეხვედრის ორასამდე მონაწილეს უამბო იმის შესახებ, თუ როგორ გაანადგურა მძლავრმა წითელმა არმიამ მანერჰაიმის სიმაგრეები. ამხ. ხმალაძის საინტერესო საუბარი დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი.

დასასრულს, შემოქმედებითი შეხვედრის მონაწილეებს უჩვენეს ქინო ფილმი „ლენინი 1918 წელს“.

თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს და გორის რაიონის ძირეული პრესის მუშაკთა შემოქმედებითი შეხვედრის მონაწილენი: თ. ლიჩელი (ტყვიავი), ვ. ჩიტუნაშვილი (ქვეში), ვ. ჯანეზაშვილი (ხელთუბანი) და გ. ჩიხლაძე (ტყვიავი) ეცნობიან ტრამვაის მოძრაობის მეორე რაიონის კედლის გაზეთის „კრივონოსელის“ მორიგ ნომერს, მარჯვნივ დგას ამავე კედლის გაზეთის რედაქტორი აკაკი პირტახია. ფოტო რ. აკოფოვისა.

ძირეული პრესის მუშაკთა და მუშკორთა საქალაქო შეკრება

12 ივლისს, საღამოს **ლ. ბერიას** სახელობის პოლიგრაფიული კომბინატის „კომუნისტის“ კლუბში შედგა საწარმო-დაწესებულებების ძირეული პრესის მუშაკთა და მუშკორთა აქტივის საქალაქო შეკრება.

შეკრებაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ამხ. ს. ჯანჯღავა. მისი მოხსენების თემა იყო—ახალი კანონი 8 საათის სამუშაო დღეზე, 7-დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და ძირეული პრესის მუშაკთა ამოცანები.

მომხსენებელმა მოიყვანა მაგალითები იმის საილუსტრაციოდ, თუ ზოგ საწარმოში როგორ ამახინჯებენ ამ კანონს. არის, მაგალითად, ზამუშაოზე დამგვიანებელთა პასუხისგებაში ხელაღებით მიცემის შემთხვევები. მუშა არ გამოცხადდა სამუშაოზე. საწარმოს ადმინისტრაცია (აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა) არ დაინტერესდა გამოერკვია, თუ რა მიზეზის გამო არ მოვიდა მუშა ფაბრიკაში—აიღო და ამ მუშის შესახებ შეატყობინა პროკურორს, რომ იგი პასუხისგებაში მიეცათ.

იყო ისეთი შემთხვევაც, როცა მოსამსახურემ, რომელიც მატარებლით მოდიოდა, დაიგვიანა იმის გამო, რომ მატარებელმა თბილისში მოსვლა დაიგვიანა. არავითარი ცნობა მას არ მოსთხოვეს, არ მიიღეს მხედველობაში მუშის დაგვიანების ეს საპატიო მიზეზი, და იგი პასუხისგებაში მისცეს.

ასეთი შემთხვევები ხშირად ხდება. ეს იმიტომ, რომ საწარმოთა ხელმძღვანელები ვერ ერკვევიან ამ ახალი კანონის შინაარსში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭიროა ძირეულმა პრესამ აიღოს ინიციატივა და სათავეში ჩაუდგეს ამ ახალი კანონის პოპულარიზაციას, შეახსენოს იგი მუშებს, მოსამსახურეებს და საწარმოთა ხელმძღვანელებს. ამ მხრივ ძირეულ პრესას უშუალო დახმარება უნდა აღმოუჩინონ ადგილობრივმა პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვა 1940 წლის 26 ივნისის კანონიდან გამომდინარე საკითხებზე.

შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამხ. პ. ჯაფარიძემ (შინსახკომი), გ. იარალოვმა (გაზ. „ფიქარი“), ი. ბუხაიძემ (გაზ. „თბილისის მაუდელი“), ნ. კილასონიამ (გაზ. „სტახანოველი“), ლ. კამკამიძემ (თბილისის სახალხო სადგური), ი. ეგოროვმა (ავტოსარემონტო ქარხანა), კ. ქავთარაძემ (საქ. სსრ პროკურატურა) და სხვ.

კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა სასამართლო-პროკურატურის ორგანოებმა ფხიზლად ადევნონ თვალყური გაზეთებში გამოქვეყნებულ სიგნალებს და არ გააჭიანურონ სამუშაოთა გამცდენების საქმეების განხილვა.

საქალაქო შეკრებას 200 მდე კაცი დაესწრო.

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობა-ინფორმაცია

ბერლინი, 12 ივლისი (საკდესი). გერმანიის სარდლობა იუწყება, რომ გუშინ გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს აეროდრომებს, საზღვაო ნაგებობებსა და სამხედრო ქარხნებს სამხრეთ და ცენტრალურ ინგლისში, ინგლისის აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროსთან მყოფ გემებს, აგრეთვე სანავსადგურო ნაგებობებს პლიმუტსა და ლოუსტოფტში. ამის შედეგად დიდი ხანძარი გაჩნდა პორტსმუტსა და სამრეწველო საწარმოებში ბერნტ-ონ-ტრენტის მახლობლად.

ლა-მანშში ჩაძირულია ერთი ნავთჩასასხმელი გემი 15.000 ტონა წყალწყვისა და 4 სავაჭრო გემი 15.000 ტონა საერთო წყალწყვისა. სერიოზულად დაზიანდა ცხრა სხვა სავაჭრო გემი. ჩამოგდებულია მტრის რამდენიმე ავიაგამანადგურებელი.

მტრის მცირერიცხოვანი თავდასხმის შედეგად უმნიშვნელოდ დაზარალდა დასავლეთ გერმანიის რაიონები.

გუშინ მტერმა სულ 13 თვითმფრინავი დაჰკარგა. გერმანიის 7 თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

გერმანიის სამხედრო ფლოტმა და ავიაციამ დიდ წვლილი შეიტანეს ომში. ომის დაწყებიდან 8 ივლისამდე ჩაძირულია მტრის კუთვნილი და მის მიერ დაფრახტული გემები 4.329.213 ტონა საერთო წყალწყვისა.

ორკნეის კუნძულების რაიონის დანაღმვა

ლონდონი, 11 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის საზღვაო სამინისტროს კომუნიკეს, რომელშიც ნათქვამია, რომ მთელი რაიონი, ორკნეის კუნძულებიდან (გრენლანდია) მოყოლებული ისლანდიაზე გავლით გრენლანდიამდე, დანაღმულია. ეს ღონისძიება ჩატარებულია იმისათვის, რომ უფრო სარისკო გახადოს გერმანიის ცდა შეიჭრას ირლანდიასა ან დასავლეთ ინგლისში სკანდინავიის მხრიდან.

სავაჭრო ფლოტის ზარალი

ბერლინი, 12 ივლისი (საკდესი). ბიულეტენ „დინტ აუს დოიჩლანდს“, უარყოფს რა ინგლისის ცნობას ჩაძირული გემების რაოდენობის შესახებ, მოჰყავს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობები. უკანასკნელი 6 კვირის საომარი მოქმედების განმავლობაში, —სწერს ბიულეტენი,—გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ჩაძირეს 600.000 ტონაზე მეტი წყალწყვის გემები.

ომის დაწყებიდან ნაღმებითა და ტორპედოებით ჩაძირულია 1.920.000 ტონა წყალწყვის გემები, ხოლო გერმანიის ფლოტის წყალზედა გემების მიერ ჩაძირულია 1.362.000 ტონა წყალწყვის გემები.

ბრძოლები ხმელთაშუა ზღვაზე და აფრიკაში

რომი, 12 ივლისი (საკდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის ცნობას, რომელშიც ნათქვამია: „საჰაერო და საზღვაო ბრძოლა, რომელიც 8 და 9 ივლისს სწარმოებდა, ჯერაც არ დამთავრებულა. გუშინ იტალიის სადაზვერვო ავიაციამ შეამჩნია მტრის გემების შეერთრთი ორი სახაზო გემის. ავიამზიდისა და მცირე შეერთრთების შემადგენლობით, რომლებიც მალტის კუნძულის მახლობლად იმყოფებოდნენ. უფრო გვიან ეს გემები აღმოსავლეთ ხუთ სატვირთო გემს აღმოსავლეთის მიმართულებით.

იტალიის ყუმბარმშენები რამდენიმე საათის განმავლობაში სდევნიდნენ მტერს. ჩაძირულია ერთი სატვირთო გემი, სერიოზულად დაზიანებულია ორი საესკადრო ნაღმოსანი. ავიამზიდს პირდაპირ მოხვდა ყუმბარა, გემზე ხანძარი გაჩნდა. ჩვენმა ყუმბარმშენებმა ჩამოაგდეს ოთხი ავიაგამანადგურებელი. ჩვენი ავიაციის ექვსი თვითმფრინავი არ დაბრუნებულა.

იტალიის ორი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა. 9 ივლისის ბრძოლის დროს იტალიის კრეისერებმა ჩამოაგდეს მტრის ხუთი ჰიდროთვითმფრინავი და სამი ყუმბარმშენი.

ჩრდილოეთ აფრიკაში კირენაიკის საზღვრის გადალმა, მოვსპეთ და ხელთ ვიგდეთ ტანკები და ჯავშნიანი მანქანები. სიდი ბარანის მახლობლად მოვსპეთ ბარაკები და ავტომობილები. ჩამოგდებულია მტრის ერთი თვითმფრინავი.

აღმოსავლეთ აფრიკაში წარმატებით დავუშინეთ ყუმბარა ბერბერისა და ბურამოს (ბრიტანეთის სომალი) აეროდრომებს. კენიაში ყუმბარა დავუშინეთ საჰაერო ბაზას. საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულია ინგლისის ორი ავიაგამანადგურებელი. ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა“.

საწრანგეთის პრეზიდენტის გადაგდომის გამო

ბერლინი, 12 ივლისი (საკდესი). ტრანსოკეანის სააგენტო ვიშიდან იუწყება, რომ პრეზიდენტმა ლებრენმა განცხადება გადასცა თავის გადადგომის შესახებ მარშალ პეტენს, რომელმაც დაიკავა „საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურის“ პოსტი. დღეს გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია: „მოლაპარაკების დროს, რომელიც გაიმართა რესპუბლიკის პრეზიდენტ ლებრენსა და მარშალ პეტენს შორის, უკანასკნელმა აცნობა პრეზიდენტს, რომ მას განზრახული აქვს ამ მოსალამდე შემოქმედებითი შეხვედრის ორასამდე მონაწილეს უამბო იმის შესახებ, თუ როგორ გაანადგურა მძლავრმა წითელმა არმიამ მანერჰაიმის სიმაგრეები. ამხ. ხმალაძის საინტერესო საუბარი დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი.

დასასრულს, შემოქმედებითი შეხვედრის მონაწილეებს უჩვენეს ქინო ფილმი „ლენინი 1918 წელს“.

თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს და გორის რაიონის ძირეული პრესის მუშაკთა შემოქმედებითი შეხვედრის მონაწილენი: თ. ლიჩელი (ტყვიავი), ვ. ჩიტუნაშვილი (ქვეში), ვ. ჯანეზაშვილი (ხელთუბანი) და გ. ჩიხლაძე (ტყვიავი) ეცნობიან ტრამვაის მოძრაობის მეორე რაიონის კედლის გაზეთის „კრივონოსელის“ მორიგ ნომერს, მარჯვნივ დგას ამავე კედლის გაზეთის რედაქტორი აკაკი პირტახია. ფოტო რ. აკოფოვისა.

ძირეული პრესის მუშაკთა და მუშკორთა საქალაქო შეკრება

12 ივლისს, საღამოს **ლ. ბერიას** სახელობის პოლიგრაფიული კომბინატის „კომუნისტის“ კლუბში შედგა საწარმო-დაწესებულებების ძირეული პრესის მუშაკთა და მუშკორთა აქტივის საქალაქო შეკრება.

შეკრებაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ამხ. ს. ჯანჯღავა. მისი მოხსენების თემა იყო—ახალი კანონი 8 საათის სამუშაო დღეზე, 7-დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და ძირეული პრესის მუშაკთა ამოცანები.

მომხსენებელმა მოიყვანა მაგალითები იმის საილუსტრაციოდ, თუ ზოგ საწარმოში როგორ ამახინჯებენ ამ კანონს. არის, მაგალითად, ზამუშაოზე დამგვიანებელთა პასუხისგებაში ხელაღებით მიცემის შემთხვევები. მუშა არ გამოცხადდა სამუშაოზე. საწარმოს ადმინისტრაცია (აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა) არ დაინტერესდა გამოერკვია, თუ რა მიზეზის გამო არ მოვიდა მუშა ფაბრიკაში—აიღო და ამ მუშის შესახებ შეატყობინა პროკურორს, რომ იგი პასუხისგებაში მიეცათ.

იყო ისეთი შემთხვევაც, როცა მოსამსახურემ, რომელიც მატარებლით მოდიოდა, დაიგვიანა იმის გამო, რომ მატარებელმა თბილისში მოსვლა დაიგვიანა. არავითარი ცნობა მას არ მოსთხოვეს, არ მიიღეს მხედველობაში მუშის დაგვიანების ეს საპატიო მიზეზი, და იგი პასუხისგებაში მისცეს.

ასეთი შემთხვევები ხშირად ხდება. ეს იმიტომ, რომ საწარმოთა ხელმძღვანელები ვერ ერკვევიან ამ ახალი კანონის შინაარსში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭიროა ძირეულმა პრესამ აიღოს ინიციატივა და სათავეში ჩაუდგეს ამ ახალი კანონის პოპულარიზაციას, შეახსენოს იგი მუშებს, მოსამსახურეებს და საწარმოთა ხელმძღვანელებს. ამ მხრივ ძირეულ პრესას უშუალო დახმარება უნდა აღმოუჩინონ ადგილობრივმა პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვა 1940 წლის 26 ივნისის კანონიდან გამომდინარე საკითხებზე.

შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამხ. პ. ჯაფარიძემ (შინსახკომი), გ. იარალოვმა (გაზ. „ფიქარი“), ი. ბუხაიძემ (გაზ. „თბილისის მაუდელი“), ნ. კილასონიამ (გაზ. „სტახანოველი“), ლ. კამკამიძემ (თბილისის სახალხო სადგური), ი. ეგოროვმა (ავტოსარემონტო ქარხანა), კ. ქავთარაძემ (საქ. სსრ პროკურატურა) და სხვ.

კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა სასამართლო-პროკურატურის ორგანოებმა ფხიზლად ადევნონ თვალყური გაზეთებში გამოქვეყნებულ სიგნალებს და არ გააჭიანურონ სამუშაოთა გამცდენების საქმეების განხილვა.

საქალაქო შეკრებას 200 მდე კაცი დაესწრო.

საჩრანგეთის პრეზიდენტობის გადაგდომის გამო

ბერლინი, 12 ივლისი (საკდესი). ტრანსოკეანის სააგენტო ვიშიდან იუწყება, რომ პრეზიდენტმა ლებრენმა განცხადება გადასცა თავის გადადგომის შესახებ მარშალ პეტენს, რომელმაც დაიკავა „საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურის“ პოსტი. დღეს გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია: „მოლაპარაკების დროს, რომელიც გაიმართა რესპუბლიკის პრეზიდენტ ლებრენსა და მარშალ პეტენს შორის, უკანასკნელმა აცნობა პრეზიდენტს, რომ მას განზრახული აქვს ამ მოსალამდე

სავაჭრო ფლოტის ზარალი

ბერლინი, 12 ივლისი (საკდესი). ბიულეტენ „დინტ აუს დოიჩლანდს“, უარყოფს რა ინგლისის ცნობას ჩაძირული გემების რაოდენობის შესახებ, მოჰყავს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობები. უკანასკნელი 6 კვირის საომარი მოქმედების განმავლობაში, —სწერს ბიულეტენი,—გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ჩაძირეს 600.000 ტონაზე მეტი წყალწყვის გემები.

ომის დაწყებიდან ნაღმებითა და ტორპედოებით ჩაძირულია 1.920.000 ტონა წყალწყვის გემები, ხოლო გერმანიის ფლოტის წყალზედა გემების მიერ ჩაძირულია 1.362.000 ტონა წყალწყვის გემები.

ბრძოლები ხმელთაშუა ზღვაზე და აფრიკაში

რომი, 12 ივლისი (საკდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის ცნობას, რომელშიც ნათქვამია: „საჰაერო და საზღვაო ბრძოლა, რომელიც 8 და 9 ივლისს სწარმოებდა, ჯერაც არ დამთავრებულა. გუშინ იტალიის სადაზვერვო ავიაციამ შეამჩნია მტრის გემების შეერთრთი ორი სახაზო გემის. ავიამზიდისა და მცირე შეერთრთების შემადგენლობით, რომლებიც მალტის კუნძულის მახლობლად იმყოფებოდნენ. უფრო გვიან ეს გემები აღმოსავლეთ ხუთ სატვირთო გემს აღმოსავლეთის მიმართულებით.

იტალიის ყუმბარმშენები რამდენიმე საათის განმავლობაში სდევნიდნენ მტერს. ჩაძირულია ერთი სატვირთო გემი, სერიოზულად დაზიანებულია ორი საესკადრო ნაღმოსანი. ავიამზიდს პირდაპირ მოხვდა ყუმბარა, გემზე ხანძარი გაჩ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრება ახალ მიწაზე

ამხანაგ ი. ბ. სტალინის ქანდაკება, რომელიც დადგმულია ონჩაჩირის რაიონის სოფ. ახალი კინდღის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში.

ჩვენ წელს მოვედით აქ, ამ ბარაქიან, ნოყიერ მიწაზე; მოვედით ამბროლაურისა და ონის რაიონებიდან, რომ უკეთ მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, ავითვისოთ ახალი მიწა, აქამდე უქმად მყოფი და დასვენებული.

ჩვენი კოლმეურნეობის ისტორია მიმდინარე წლის 9 მარტიდან იწყება. ამ დღეს შესდგა მთიანი რაჭიდან მზიურ აფხაზეთში, ბომბორის მიწაზე მოსული კოლმეურნეების პირველი ჯგუფი, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა კოლმეურნეობას. ხალხმა კოლმეურნეობას ქართველი ხალხის საყვარელი შვილის—ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელი უწოდა, რადგან ამ ადგილას მოაწყო სერგომ იარაღის გადმოტვირთვა 1905 წლის აჯანყებული გლეხებისათვის. ჩვენთვის მეტად საპატიო საქმეა ასეთ ადგილას ცხოვრება და მუშაობა.

მიგვიღეს მეტად გულთბილად. ჩვენს კოლმეურნეობაში შემოვიდა მეზობლად მცხოვრები აფხაზების ერთი ბრიგადა. ჯერ დასახლებულია 100 კომლი, ხოლო 50 კომლს მოველით შემოდგომაზე. მათთვის უკვე მზადდება ბინები და საკარმიდამო ნაკვეთები.

პირველი დღეებიდანვე გავშალეთ ფართო მუშაობა მოცემული მიწების (კოლმეურნეობას სახელმწიფო აქტით ჩაბარებული აქვს 550 ჰექტარზე მეტი მიწა) ათვისებისათვის. კოლმეურნეებმა მუშაობა გააჩაღეს აგრეთვე საკუთარი ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის.

წელს ახალი ვენახი გავაშენეთ, 8,9 ჰექტარზე, სიმინდი უკვე დავთესეთ 157 ჰექტარზე, ერთი ჰექტარი ფართობი მივუმატეთ ჩვენთვის გადმოცემულ ტუნგოს ძველ პლანტაციას, ფორთოხალი დავრგეთ 8 ჰექტარზე, მანდარინი — 7-ზე, თამბაქო—25 ჰექტარზე, ციტრუსების სანერგისათვის გავაშენეთ ტრიფოლიატა; ამას მივუმატოთ ის სამუშაოები, რომელიც კოლმეურნეებმა ჩაატარეს თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე,—აი ჩვენი პირველი 4-5 თვის მუშაობის ნაყოფი. კაცმა რომ თქვას, ჩვენ უკვე გავწიეთ დიდი მუშაობა, მაგრამ მთელი საქმე ჯერ კიდევ წინ გვიძევს.

კოლმეურნეობის კეთილმოწყობა, მისი სანიმუშოდ გადაქცევა—ჩვენი ერთერთი პირველი ამოცანაა.

უკვე გავაშენეთ 1500 ძირი ციტრუსი, 300 ძირი კვიპაროსი, 3000 ძირი ევკალიპტი. ისინი დარგულია როგორც კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე, ისე გზების გასწვრივ და საერთო—სახალხო ადგილებში. გარდა ამისა, თვითეულ საკარმიდამო ნაკვეთზე დარგულია 25 ძირი მანდარინი, 5 ძირი ლიმონი.

კოლმეურნეობაში მოეწყო საბავშვო ბაგა 125 ბავშვისათვის, რამაც დიდად შეუწყო ხელი პატარა ბავშვიან ქალებს მუშაობაში. თითქმის ყველა კოლმეურნემ გამოიყენა მთავრობის მიერ მიცემული ავანსი (700 მანეთი) და შეიძინა ძროხა.

იმ დიდი დახმარების შედეგად, რაც ჩვენ გაგვიწია პარტიისა და მთავრობის როგორც ცენტრალურმა, ისე ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა, მოვიპოვეთ ზემოთ ჩამოთვლილი წარმატებები.

გარდა ამისა, დიდად გვეხმარებიან მეზობელი კოლმეურნეობები, რომლებიც გახარებული არიან ჩვენი ჩამოსვლით.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი, რომელთა გამოსწორებას ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევენ ხელმძღვანელი ორგანოები. გზები ჩვენთან არ არის მოწყობილი. ასევე, დღემდე არ აუგიათ სკოლისა და კოოპერატიული სავაჭროს შენობა. მალე ახალი სასწავლო წელი დაიწყება, ჩვენთან კი სკოლისათვის საჭირო ბინა აქამდე არ არის გამონახული; კოოპერატივის ბინის უქონლობა აფერხებს საჭირო საქონლით კოლმეურნეთა მომარაგებას ადგილზე. აი, რა ნაკლის აღმოფხვრაში გვჭირდება ჩვენ დახმარება პირველ რიგში.

ჩვენი ხალხი შრომისმოყვარე ხალხია; მაგრამ მიწის ნაწილობრივი სიმცირე არ აძლევდა მას საშუალებას სრულად ეჩვენებინა თავისი შესაძლებლობა, ინიციატივა და გარესამუშაოზე გარბოდა. ახლა მიწა ბევრი გვაქვს და ნაყოფიერი. ხალხი უდიდესი მონდომებით შრომობს ამ მიწაზე. ეს კი იმის თავდებია, რომ მალე გვექნება ყველა იმ კულტურის სარეკორდო მოსავალი, რომელთა მოყვანასაც ხელი მოვკიდეთ.

ᲨᲘᲠᲐᲖ ᲒᲝᲒᲝᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გუდაუთის რაიონის სოფელ ბომბორის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

პარჯიული მუშაობა ახლადდასახლებულ კოლმეურნეობაში

ჩვენი კოლმეურნეობა ორიოდე წელია, რაც არსებობს. ამ ხნის განმავლობაში იგი კარგად მოეწყო და გაიზარდა. მასში ახლა 169 კოლმეურნე ირიცხება. კოლმეურნეთა შორის გაშლილია პოლიტიკური აგიტაცია, სწარმოებს მუშაობა მოწინავე კოლმეურნეთა მიზიდვისათვის პარტიის რიგებში, მათი აღზრდისათვის.

კოლმეურნეობის 29 კომუნისტი, რომელთა შორის 9 წევრია, განაწილებულია ყველა ბრიგადაში. ეს კი იმის საუკეთესო საშუალებაა, რომ კოლმეურნეობის ცალკეული ბრიგადებისა და რგოლების მუშაობაში ყოველდღიურად ხორციელდებოდეს პარტიული კონტროლი და დახმარება.

პარტიული კონტროლის იმ უფლების გამოყენებისათვის, რომელიც პირველად პარტორგანიზაციებს მიანიჭა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ, ჩვენ გადავდგით პრაქტიკული ნაბიჯები და კონტროლის განხორციელება დიდად დაეხმარა საერთო საქმეს.

ჩვენ წელს 3-ჯერ განვიხილეთ კოლმეურნეობაში საგაზაფხულო ოესვისათვის მზადებისა და სასოფლო-სამეურნეო საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის საკითხი და ამის შესახებ კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. თ. სორდიას და მისი მოადგილის ამხ. მ. ტვანიას მოხსენებები. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში პარტიული ორგანიზაცია სახავდა პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებებს.

პარტიული ორგანიზაცია არ კმაყოფილდება მარტო ღონისძიებების დასახვით. ის ამოწმებდა, თუ როგორ ხორციელდება ეს ღონისძიებები ცალკეულ ბრიგადებსა და რგოლებში. ამასწინათ ჩვენ განვიხილეთ საკითხი სიმინდის თესვისა და ადრეული ნათესების გათოხნის მდგომარეობის შესახებ პირველ ბრიგადაში (ბრიგადირი ა. სახურია). საკითხის შესწავლამ გამოავლინა, რომ ამ ბრიგადაში დაბალი იყო შრომის ორგანიზაცია, დაცემული იყო შრომის დისციპლინა, ხოლო შრომადღეების აღრიცხვის საქმეში ადგილი ჰქონდა არევ-დარევას. ამის გამო ბრიგადა ძალზე ჩამორჩენილი იყო მუშაობაში.

მას შემდეგ კი, რაც პარტიულმა ორგანიზაციამ ეს საკითხი განიხილა და პრაქტიკულად მოჰკიდა ხელი არსებული მდგომარეობის გამოსწორებას, ბრიგადაში საქმეს წინსვლა დაეტყო; სამუშაოზე გამოსვლა იწყო ყველა შრომისუნარიანმა კოლმეურნემ. თუ კოლმეურნეები პარმენ წირღვავა, დახაირ ტანია და აკაკი ხაჟომია წინათ გაურბოდნენ მუშაობას, მას შემდეგ, რაც მათ პარტიულმა ორგანიზაციამ მთელი ხალხის წინაშე მოსთხოვა ერთგული და პატიოსანი შრომა კოლმეურნეობის სასარგებლოდ და მიაღწია საზოგადოებრივ ზეგავლენას მათზე, ამ კოლმეურნეებმა ივრძნეს, რომ პატიოსანი შრომა მათი ერთერთი ყველაზე უფრო საპატიო მოვალეობაა. ისინი დღეს პირნათლად ასრულებენ ამ მოვალეობას.

ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებამ. წელს ბევრი კომუნისტი გახდა სტახანოველი. კომუნისტი პლატონ გულუა, რომელიც მეოთხე ბრიგადაში მუშაობს, ახლა სტახანოველია. ის 200-250 პროცენტით ასრულებს დღიურ ნორმებს. გულუა არა მარტო თვითონ მუშაობს კარგად, მის მაგალითს ჰბაძავენ სხვებიც. ამის შედეგია, რომ მთელი ბრიგადა წინ მიდის.

მაგრამ მუშაობაში ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. უპირველეს ყოვლისა ეს ეხმის კომუნისტთა ცოდნის ამაღლებაზე. ჩვენ აქამდე კარგად ვერ დავაყენეთ ქმედითი კონტროლი თვითეული კომუნისტის მიმართ, თუ როგორ სწავლობს იგი პარტიის ისტორიას. ზოგიერთი კომუნისტი პარტიის ისტორიის შესწავლაში დაუდევრობას იჩენს. თავის მხრივ ეს გავლენას ახდენს სამეურნეო მუშაობაზე. კომუნისტები პლატონ დბარი და ექვთიმე ტანია გვერდს უვლიან საქაშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლას. ჩვენ კი ჩვენის მხრით დაუდევრად ვეკიდებით მათ, არ ვაიძულებთ ნამდვილად იმუშაონ საკუთარი ცოდნის გაღრმავებისათვის პარტიული დისციპლინის მახვილი ვერ მივმართეთ მათ გამოსასწორებლად.

ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ხშირად გვმყოფილდებით მხოლოდ ზოგადი გამოსაუბრებით. მაგალითად, კომუნისტმა თომა სორდიამ გვითხრა, რომ მას შესწავლილი აქვს პარტიის ისტორიის მოკლე კურსის 4 თავი ამავე დროს მას არა აქვს კონსპექტი. პარტიული ორგანიზაცია კი არ დაინტერესებულა ნამდვილად გაეგო მართლა სწავლობს თუ არა სორდია პარტიის ისტორიას.

მოუწესრიგებელია ლექციებისა და კონსულტაციების საკითხი. კოლმეურნეობაში არიან როგორც ქართველები, ისე აფხაზები (80 კაცი). საქართველოს კ. პ. (ბ) გუდაუთის რაიკომი სათანადოდ არ ითვალისწინებს ამ მდგომარეობას. ჩვენთან წელს აფხაზურ ენაზე მხოლოდ ერთხელ ჩაატარეს ლექცია. არც ქართულ ენაზე ტარდება ლექციები ხშირად. მიმდინარე წელს ჩატარებულია მხოლოდ 4 ლექცია. პარტიის ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგებისათვის არ არის მოწყობილი კონსულტაცია. ჩვენ აქამდე ვერ შევძელით მოგვეწყო პარტიის ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა ამხანაგური საუბრები გამოცდილების გაზიარების მიზნით.

აი, რაში მდგომარეობს ჩვენი მუშაობის სუსტი მხარე.

პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ შესძლო აგრეთვე ყველა კომუნისტი გაეხადა მოწინავე. ზოგიერთი კომუნისტი ვერ ანხორციელებს ავანგარდულ როლს, ხოლო პარტორგანიზაცია მათ საკმაოდ ვერ ეხმარება მუშაობის გამოსწორებაში. პარტიის წევრობის კანდიდატი ამხ. გრიგოლ ბარამია, რომელიც მეორე ბრიგადაში მუშაობს, სამუშაოზე სისტემატურად იგვიანებს, ვერ ასრულებს დღიურ დავალებებს (75-80 პროც.). წელს 5 თვის განმავლობაში მას გამომუშავებული აქვს მხოლოდ 76 შრომადღე. საჭირო იყო შეგვესწავლა, თუ რა უშლის ხელს მას მუშაობაში, დავხმარებოდით, გამოგვესწორებინა, მაგრამ დღემდე ეს საკითხი მხედველობიდან გამოგვრჩა.

ეს და ამის მსგავსი ბევრი ნაკლი აფერხებს ჩვენს მუშაობას, ჩვენი კოლმეურნეობის მთელ მუშაობას. პარტიის გუდაუთის რაიკომიდან მოვითხოვთ მეტ პრაქტიკულ დახმარებას შემდგომი მუშაობის უკეთ წარმართვისათვის.

მ. თარგბა

გუდაუთის რაიონის სოფ. ზვანდრიფშის ჩარკვიანის სახ. კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი.

სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები ონჩაჩირის რაიონის სოფ. ახალი კინდღის ბერიას სახელობის, გაგრის რაიონის სოფ. პალენკოვოს სტალინის სახელობის, გაგრის რაიონის სოფ. ოტრადნოეს ბერიას სახელობის კოლმეურნეობებიდან. **სურათზე** (მარცხნიდან მარჯვნივ) პირველ რიგში: გ. ხურცილავა, ყ. ტაბიძე, ე. კუპრეიშვილი, ს. კერესელიძე. (მეორე რიგში): ე. კერესელიძე, ნ. ფირცხალავა, შ. ბარქაია, ს. სვანიძე. (მესამე რიგში): ძ. ფირცხალავა, გ. ჯიქია, ლ. დანელია და გ. ხურცილავა.

ფოტო ტოლმაჩევისა.

როგორ მოვიპოვეთ საპატიო უფლება

სულ მცირე დროის განმავლობაში—ორ-სამ წელში, მას შემდეგ, რაც გაგრის რაიონის სოფელ ოტრადნოეზე დავსახლდით, ჩვენ შევძელით მუშაობის ისე წარმართვა, რომ მიმდინარე წელს უკვე გამოფენაში ვიღებთ მონაწილეობას. ეს მდგომარეობა განსაკუთრებით დიდ სიხარულს ჰბადებს თვითეულ კოლმეურნეში.

კოლმეურნეობა გამოფენის მონაწილეა ციტრუსების დარგში. 1938 წელს თვითეული სრულმოსავლიანი ხიდან საშუალოდ მივიღეთ 405 ცალი ნაყოფი, ხოლო 1939 წელს 750 ცალი, რითაც წინა წლებთან შედარებით 2-ჯერ გავადიდეთ მოსავალი და 1940 წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება მოვიპოვეთ.

ციტრუსებს ჩვენს მეურნეობაში 22 ჰექტარი უჭირავს. როგორ ვუვლით მათ? დროულად ვატარებთ ყველა სამუშაოს, რაც გათვალისწინებულია აგროღონისძიებებით.

ჩვენი კოლმეურნეობიდან წელს გამოფენის მონაწილედ დამტკიცებულია 13 კაცი. მათ თავი გამოიჩინეს ციტრუსების მოვლაში, რითაც მიღწეულ იქნა ციტრუსების მაღალი მოსავალი. კოლმეურნე ო. კუპრეიშვილი ნაცვლად 150-სა, ის ბუღუნებს ბარავდა დღეში 300 - 350 კვადრატული მეტრის რაოდენობით. 4 ძირი ხის ნაცვლად, იგი ფუმიგაციას უკეთებდა 12 ძირ ციტრუსს. მის მიერ ფუმიგირებული ხეები საუკეთესო შედეგებს აღწევდნენ. კოლმეურნე დავით ხარგელიამ წარმატება მოიპოვა ციტრუსების შეწამლვის საქმეში. ნაცვლად 300 ძირისა, იგი დღეში ატარებდა 400-500 ძირი ციტრუსის შეწამლვას. ამავე დროს, შეწამლვა ისე კარგად იყო ჩატარებული საბკომაბჭოს დადგენილებამ სასოფლო - სამეურნეო გამოფენის 1941 წელსაც გაგრძელების შესახებ. კოლმეურნეთა შორის უკვე გაიშალა სოცშეჯიბრება. გამოფენაში მონაწილეობის უფლების მომავალ წელსაც შენარჩუნების მიზნით ჩვენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩავებით სოფ. კოლხიდის ბერიას სახელობის კოლმეურნეობასთან. შეჯიბრება ფართოვდება ბრიგადებსა და ცალკე კოლმეურნეებს შორის.

ეს შეჯიბრება საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო გავაფართოოთ მუშაობა, გამოვიჩინოთ მეტი უნარი და ავამოქმედოთ ყველა საწარმოო შესაძლებლობა.

გასულ წელს, მივაღწიეთ რა ციტრუსების მაღალ მოსავალს, რის გამოც გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოვიპოვეთ, გავზარდეთ კოლმეურნეთა შემოსავალი და მოსავალი. კოლმეურნეებს შრომადღეზე ხვდათ 10 მან. 90 კაპ. ფულად, აგრეთვე 2,57 კილოგრამი სიმინდი და 0,22 კილოგრამი ღვინო.

მ. ᲒᲣᲒᲨᲕᲘᲚᲘ

გაგრის რაიონის სოფ. ოტრადნოეს ბერიას სახ. კოლმეურნეობის აგრონომი.





აფხაზეთის ასსრ ონჩაჩირის რაიონის სოფ. ახალი კინდღის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა. მარცხნივ — კოლმეურნე მექი გაგუას სახლი. მარჯვნივ—კოლმეურნეობის წევრები მიდიან ყანებში სამუშაოდ.

გ. მერკვილაძე

მიწა იცვლის სახეს

საუკუნეობით ხელუხლებელი იყო ეს მიწა. არც მარცვლეულს სთესდნენ მასზე, არც ხილი მოჰყავდათ.

მაგრამ დაირღვა ეს მყუდროება და ადამიანის ხელმა თავის სამსახურში მოაქცია უქმად გდებული მიწები. ათასობით ახალ ჰექტარზე გაშალა ახალი ცხოვრება, მიწამ სახე იცვალა. შავი ზღვის აფხაზეთის სანაპირო მოიფინა ერთი ტიპის დასახლებული ახალი სოფლებით და დაიწყო უდიდესი მუშაობა ასეული წლობით დასვენებული თავისუფალი მიწების ასათვისებლად.

ყოველ წელს მოდიან აფხაზეთში დასავლეთ საქართველოს მცირემიწიან რაიონებიდან კოლმეურნეთა ახალი ნაკადები და აქ უყრიან საფუძველს თავიანთ ახალ ცხოვრებას. მოდიან სამეგრელოს რაიონებიდან, მთიანი რაჭისა და ლეჩხუმის რაიონებიდანაც კი. პარტიამ და მთავრობამ მათ შეუქმნეს პირობები ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის; გამზადებულ სახლებსა და საკარმიდამო ნაკვეთებში ასახლებენ ახალ მიწებზე დასახლების მსურველთ, აძლევენ დიდ ავანსებს როგორც ნატურით, ისე ფულად.

იმ უდიდეს მუშაობას, რომელიც დაიწყო ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** ინიციატივით და რომელსაც დიდი წარმატებით ანხორციელებენ აფხაზეთის ბოლშევიკები — კოლმეურნეთა დასახლებას—უდიდესი ნაყოფი გამოაქვს. აფხაზეთში უკვე შექმნილია ახლად დასახლებულთა 7 კოლმეურნეობა, ეს კოლმეურნეობები ცოდვ უფრო ფართოვდებიან და იზრდებიან; იქმნება ახალი კოლმეურნეობები. მიმდინარე წელს დამატებით უნდა აშენდეს 650 ახალი სახლი. ახლად დასახლების ღონისძიებებზე მიმდინარე წელსვე განკუთვნილია და იხარჯება ათ მილიონზე მეტი მანეთი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ თავის 1940 წლის 25 აპრილის დადგენილებაში მიუთითეს ბოლშევიკური გადასახლების უდიდეს მნიშვნელობაზე და საქართველოს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებიციებს დაავალეს ბოლშევიკურად უზელმძღვანელონ ამ საქმეს.

დასახლებულმა კოლმეურნეობებმა არსებობის პირველ წლებშივე მიაღწიეს დიდ წარმატებებს. მათ შორის ერთერთ მსხვილ და უკვე კარგად მოწყობილ კოლმეურნეობას წარმოადგენს ონჩაჩირის რაიონის, სოფელ ახალი კინდღის **ბერიას** სახელობის კოლმეურნეობა.

ადგილობრივი ძველი მცხოვრებნი ბევრ საინტერესო რამეს მოგითხრობენ კინდღის შესახებ. გიამბობენ, თუ ზღვის ეს სანაპირო როგორ იყო დაფარული გაუვალი, წყნეთიანი ტყით, სადაც ხანდახან მონადირეები თუ შეუხვევდნენ ნადირს დადევნებულნი, ან თავს იფარავდნენ ავაზაკები.

ახლა კი ეს ადგილი ხელისგულივით მოწმენდილ ვაკედ ქცეულა, რომელზეც 410 ახალი სახლი აუგიათ. ხალხს ცხოვრება მოუწყვია, როგორც იტყვიან, თავის გემოზე.

ერთ წელზე მეტია, რაც დასაბამი მიეცა ამ ახალ მიწაზე ცხოვრებას. **ბერიას** სახელობის კოლმეურნეობა გასული წლის მარტში შეიქმნა. იქ დასახლებულია გეგეჭკორიდან, აბაშიდან, წალენჯიხიდან, ჩხოროწყუდან და ცაგერიდან ჩამოსული კოლმეურნეები.

დიდია და წარმტაცი ამ კოლმეურნეობის პერსპექტივა. 1.600 ჰექტარი მიწა წარმოადგენს კოლმეურნეობის სიმდიდრის უშრეტ წყაროს. კოლმეურნეებმა უკვე მოასწრეს გაეშენებინათ 8 ჰექტარი ჩაი, 37 ჰექტ. ტუნგო, 7 ჰექტ. თამბაქო, 2 ჰექტ. მანდარინი, 5 ჰექტარი ლუფა, 14.500 ძირი ევკალიპტი, ხოლო სიმინდი დათესეს 228 ჰექტარზე და ბოსტნეული 7 ჰექტარზე. კოლმეურნეობის ძირითადი კულტურები იქნება ჩაი და ტუნგო, აგრეთვე ხეხილი და ციტრუსები.

უკვე 1945 წელს კოლმეურნეობას ექნება 48 ჰექტარი ჩაის ახალგაზრდა პლანტაცია, რომელიც მას მისცემს სრული მოსავლის 45 პროცენტს, ანუ 50.400 კილოგრამ ფოთოლს, 80 ჰექტარი ისეთი პლანტაცია, რომელიც მისცემს მოსავლის 30 პროცენტს—ანუ 52.800 კილოგრამ ფოთოლს, ხოლო 60 ჰექტარი —15 ათას კგმ ფოთოლს (10 პროცენტი მოსავალი). მარტო ჩაი (118 ტონა მწვანე ფოთოლი) კოლმეურნეობას დაახლოებით 195.000 მანეთს მისცემს.

ტუნგო, კარგი მოვლით, კოლმეურნეობას მისცემს სულ 131 ტონა ნაყოფს, ანუ 262 ათას მანეთზე მეტ შემოსავალს. ციტრუსებიდან, სუბტროპიკული და ევროპული ხეხილიდან, თამბაქოდან, ბოსტნეულიდან კოლმეურნეობა მიიღებს 300 ათას მანეთზე მეტს.

კოლმეურნეობის საერთო წმინდა ფულად შემოსავალი, სახელმწიფოს მიერ მიცემული კრედიტების ჩათვლით, ხუთი წლის შემდეგ დიდად გადააჭარბებს მილიონ მანეთს. ეს მაშინ, როდესაც კოლმეურნეობა მხოლოდ ახლა აშენებს ისეთ ძვირფას კულტურებს, რომლებიც განსაზღვრული წლების შემდეგ იძლევიან მოსავალს.

შრომადღეზე კოლმეურნეებმა გასულ წელს მიიღეს 4 მან. 15 კაპიკი. წელს კი გაიცემა 6 მანეთი.

სიმინდის მოსავალი კოლმეურნეობაში წლითი-წლობით იზრდება. გასულ წელს კოლმეურნეებმა თვითეულ შრომადღეზე მიიღეს ერთნახევარი კილოგრამი სიმინდი. წელს მიიღებენ 3 კილოგრამს.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით, ახლადდასახლებული კოლმეურნეობების საბინაო, სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის განკუთვნილი სასოფლო - სამეურნეო კრედიტი კოლმეურნეებმა უნდა დაჰფარონ 10 წლის განმავლობაში, დაიწყებენ რა მის ნაწილ-ნაწილად გადახდას მიღებიდან 5 წლის გასვლის შემდეგ.

საკოლმეურნეო კომლს 5 წლის შემდეგ ყოველწლიურად მოუწევს მიღებული კრედიტის დასაფარავად, დაახლოებით, 2.500 მანეთის გადახდა. ეს იქნება მაშინ, როდესაც კოლმეურნეს უკვე ექნება ის დიდი შემოსავალი, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ. ცხადია, ასეთი როდენობით ვალის დაფარვა საკოლმეურნეო კომლისათვის, რომლის მარტო ფულადი შემოსავალი ოცი ათას მანეთს მიაღწევს, იოლია.

აი, როგორ შეიცვალებას და პირობებს უქმნიან პარტია და მთავრობა ახლადდასახლებულ კოლმეურნეებს. აი, როგორ წარმტაცად მოსჩანს ახლადდასახლებული კოლმეურნეობების ცხოვრების პერსპექტივა.

კინდღში ბევრმა კოლმეურნემ მოაწყო კულტურული თავისი კარ-მიდამო; შემოღობა იგი ლამაზი ფიცრის ღობით, გააშენა 25-30 ძირამდე ციტრუსი, ვაშლმა დარგო ევკალიპტი, რომელიც 3-4 წლის შემდეგ ვებერთელა საჩრდილებელი ხეივანი იქნება, დათესა სიმინდი და ლობიო, დარგო ვენახი.

218 კომლს უკვე ჰყავს ძროხა, ხოლო დანარჩენი 152 კომლიც იძენს საძროხე ხბოებს. საამისოდ მათ მთავრობამ დიდი კრედიტი მისცა. სავსებით სწორია, რომ თავისი ძროხები ჩამოსვლის დროს მხოლოდ 45 კომლმა მოიყვანა, დანარჩენებმა, რომელთაც წინათ არ ჰყავდათ ძროხა, —აქ შეიძინეს.

ახალი შრომის იმ წარმტაც ფერხულში, რომელიც კინდღშია გაჩაღებული, ბევრი სტახანოველი გამოიზარდა. მაგალითად, კინდღის საბჭოს სოფლო საბჭოს დეპუტატი ჭყონია დანელია, რომელიც საკოლმეურნეო ბოსტანში მუშაობს, 200-250 პროცენტით ასრულებს დღიურ ნორმებს, კოლმეურნე ერმილე ცაავა სიმინდის თესვისა და გათოხნის ნორმებს 250-300 პროცენტით ასრულებს. 1940 წ. 1 ივნისისათვის მას გამომუშავებული ჰქონდა 195 შრომადღე. მოხუცი ყარამან ტაბიძე, რომელსაც 80 წელი ესრულდება, ყოველდღე გამოდის სამუშაოზე და სიმინდის გათოხნის ნორმებს 190 პროცენტით ასრულებს. სტახანოველმა შალვა ჭიაბამ, რომელიც ხალხმა ონჩაჩირის რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩია, 1 ივნისამდე გამოიმუშავა 226 შრომადღე. კოლმეურნეთა საერთო პატივისცემით სარგებლობენ სტახანოველები: ლავრენტი გაგუა, ნიკოლოზ გეგეშიძე, პლატონ სიჭინავა და სხვ.

მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობისა (თავმჯდომარე — ბაგრატ ჯაბაშია) და პარტორგანიზაციის (მდივანი—ნოე მექვაბიშვილი) დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ისინი ნაკლებად ზრუნავენ მოწინავე ადამიანთა გამოცდილების ფართოდ დანერგვაზე. მათ მაგალითებზე არ ზრდიან ჩამორჩენილ კოლმეურნეებს, რომლებიც კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ საკმაოდ მოიპოვებიან.

ყველა იმ წარმატებასთან ერთად, რომლებიც კოლმეურნეობას აქვს, აქ ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი, რაც იმის შედეგია, რომ ონჩაჩირის რაიონული ორგანიზაციები კინდღის კოლმეურნეობას სათანადო ხელმძღვანელობას და დახმარებას არ უწევენ.

კოლმეურნეობის მუშაობის მთავარ ნაკლს წარმოადგენს შრომის ცუდი ორგანიზაცია და დისციპლინის განუმტკიცებლობა.

კოლმეურნეობაში რგოლური მუშაობის შეუფასებლობას იჩენენ. გარდა მეცხვრე ბრიგადისა (ბრიგადირი კ. ქვარცხავა), რგოლები მხოლოდ ფორმალურად არსებობენ. ბრიგადებში კარგად არც იციან რგოლის მოვალეობა და ამოცანები. მეოთხე ბრიგადაში, სადაც ბრიგადირად ს. ქვარცხავა მუშაობს, მართალია გამოჰყვეს სამი რგოლი, მაგრამ არც ერთს ჯერ მუშაობა არ დაუწყია. ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ ამ ბრიგადამ 12 ჰექტარის ნაცვლად სიმინდი მხოლოდ 6 ნახევარ ჰექტარზე დათესა, ხოლო დღემდე ისიც არ გაუთოხნია მთლიანად. ისევე დიდი ჩამორჩენაა პირველ ბრიგადაში. მისი პირველი რგოლის ხელმძღვანელმა უ. კანკიამ არ იცის, თუ რაზე უნდა იმუშაოს, როგორ უნდა მოაწყოს თავისი რგოლის მუშაობა, რადგან ცალკე რგოლურ დავალებას არავინ იძლევა და რგოლის წევრები იძულებულნი არიან უგეგმოდ და არეულად იმუშაონ. ამ ბრიგადამ 15-ის ნაცვლად, მხოლოდ 9 ჰექტარზე შესძლო სიმინდის დათესა.

სწორედ რგოლური სისტემის შეუფასებლობის შედეგია შრომის ის დაბალი ნაყოფიერება, რასაც ადგილი აქვს ზოგიერთ ბრიგადაში.

ამას ზედ ერთვის შრომის დისციპლინის სისუსტე მთელ რიგ ბრიგადებში. კოლმეურნეობაში 496 შრომისუნარიანი მუშახელია, რომლებიც ყოველდღიურად უნდა გამოდიოდნენ სამუშაოზე; ფაქტიურად სამუშაოზე ყოველდღიურად გამოდის 300-350 კაცი. კოლმეურნეობის გამგეობა სუსტად იბრძვის იმ „კოლმეურნეთა“ გამოსასწორებლად, რომლებიც თავს არიდებენ საკოლმეურნეო ფართობზე მუშაობას. მე-11 ბრიგადის წევრმა იოსებ ჭოჭუამ წელს 5 თვის განმავლობაში მხოლოდ 38,81 შრომადღე გამოიმუშავა. ის კომკავშირელია, მაგრამ კომკავშირულ ორგანიზაციას დაავიწყდა, რომ ჭოჭუას აღზრდა ესაჭიროება; კოლმეურნე ოლღა კვარაცხელიას გამომუშავებული აქვს 14,74 შრომადღე, შალვა კანკიას—32,91 და ა. შ.

ასეთი ზარმაცი კოლმეურნეების მამართ კოლმეურნეობის ხელმძღვანელები არ ღებულობენ საჭირო ზომებს. მათ დღემდე ვერ მოაგვარეს შრომის აღრიცხვის საქმეც. ყველა კოლმეურნეს არა აქვს შრომის წიგნაკი. აღმრიცხველ შ. ბოკუჩავას შრომადღეების რაოდენობა კოლმეურნეთა შრომის აღრიცხვის წიგნებში ერთი თვის დავალიანებით შეაქვს. კოლმეურნეობის გამგეობა ნაკლებად არის დაინტერესებული მუშაობის ყოველდღიური შედეგების ცოდნით.

ამ ნაკლოვანებებს იმიტომ აქვს ადგილი, რომ კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც 41 კომუნისტს აერთიანებს სუსტად ეწუმაობს. თვითონ კომუნისტები ვერ ძლევენ ავანგარდული მუშაობის მაგალითებს. 41 კომუნისტიდან სტახანოველია მხოლოდ 7. კომუნისტები კაპიტონ ჯიქია და პლატონ გადელია სათანადო მონდომებით არ მუშაობენ. პარტორგანიზაცია და მისი მდივანი ნ. მექვაბიშვილი შეიგნებიან ამ მდგომარეობას და ზარმაცების წინააღმდეგ გადამჭრელ ზომებს არ იღებენ.

ბოლშევიზმის დაუფლება, ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის შესწავლა, აქ ზოგიერთ ამხანაგს სასწავთაშორისო საქმედ მიაჩნია. თვით პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ნ. მექვაბიშვილი, რომელიც ამავე დროს პარტიის ისტორიის შემსწავლელი დაბალი ტიპის წრის პროპაგანდისტია, სუსტად მუშაობს ისტორიის შესწავლისათვის და ამიტომ ვერც სხვის მუშაობას ამოწმებს.

იდეურად სუსტად შეიარაღებული კომუნისტები, ცხადია, ვერ ჩადგებიან ავანგარდულ რიგებში. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ამ კოლმეურნეობაში.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ პარტიის ონჩაჩირის რაიკომი სუსტად ხელმძღვანელობს თავის პირველად ორგანიზაციას და კოლმეურნეობას. რაიკომის მდივნები და ინსტრუქტორები თუმცა ხშირად დადიან ამ კოლმეურნეობაში, მაგრამ ისინი ღრმად არ სწავლობენ პარტიული მუშაობის საკითხებს, ვერ ამჩნევენ მის ჩამორჩენას.

○

ახალი ცხოვრება მკვიდრდება აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროს დღემდე აუთვისებელ მიწებზე. აფხაზეთში ბევრია თავისუფალი ნაყოფიერი მიწა, რომელსაც დღემდე არ შეხებია ადამიანის ხელი. დადგა ამ უდიდესი სიმდიდრის გამოყენების დრო.

მიწა იცვლის სახეს; ის იხს

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՐԱՎԱՅԻՆ ՍԱՀՄԱՆՆԵՐԸ ՎԵՐԱԿԱՆԳՆԵԼՈՒ ՄԱՍԻՆ

Հայկական ԽՍՀ Գերագույն Սովետի Նախագահության հրամանագիր

Հայկական ԽՍՀ Գերագույն Սովետի Նախագահությունը որոշում է.

1. Հայկական ԽՍՀ Գերագույն Սովետի Նախագահության 1940 թ. հոկտեմբերի 20-ի հրամանագրով հաստատված Հայկական ԽՍՀ վարչական բաժանման մեջ կատարել հետևյալ փոփոխությունները.

ա) Ստեփանավանի շրջանի Ղարաքիլիսայի գյուղական սովետի տարածքը հանել Ստեփանավանի շրջանից և միացնել Վանաձորի շրջանին.

բ) Ստեփանավանի շրջանի Ղարաքիլիսայի գյուղական սովետի տարածքում կազմել Ղարաքիլիսայի գյուղական սովետի նոր սահմաններ՝ Ղարաքիլիսա, Ղարաքիլիսա կայարան, Ղարաքիլիսա ճանապարհ, Ղարաքիլիսա ջրաղաց, Ղարաքիլիսա ճանապարհ 1-ին կիլոմետր, Ղարաքիլիսա ճանապարհ 2-րդ կիլոմետր, Ղարաքիլիսա ճանապարհ 3-րդ կիլոմետր, Ղարաքիլիսա ճանապարհ 4-րդ կիլոմետր, Ղարաքիլիսա ճանապարհ 5-րդ կիլոմետր, Ղարաքիլիսա ճանապարհ 6-րդ կիլոմետր, Ղարաքիլիսա ճանապարհ 7-րդ կիլոմետր, Ղարաքիլիսա ճանապարհ 8-րդ կիլոմետր, Ղարաքիլիսա ճանապարհ 9-րդ կիլոմետր, Ղարաքիլիսա ճանապարհ 10-րդ կիլոմետր, Ղարաքիլիսա ճանապարհ 11-րդ կիլոմետր, Ղարաքիլիսա ճանապարհ